**მოწვევა წინადადებების წარსადგენად და ტექნიკური დავალება — მომსახურების შესყიდვა**

**<u>რეგიონული ლოგისტიკური საჭიროებების ანალიზი</u>**

**BSB-LOGINET/ACCI/2026-02**

## 1. ინფორმაცია წინადადებების წარდგენის შესახებ

**კონტრაქტის / ტენდერის საგანი:** მოცემული ტენდერის საგანს წარმოადგენს: აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის (ACCI) მიერ განხორციელებული ევროკავშირის პროექტის — BSB-LOGINET (BSB00959) ფარგლებში, აჭარის რეგიონისთვის სამაგიდო კვლევის (desk research) ჩატარება, თვისობრივი საველე მონაცემების შეგროვება (სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფების შეხვედრები), მიღებული თვისობრივი მონაცემების ანალიზი და დოკუმენტის მომზადება „რეგიონული ლოგისტიკური საჭიროებების ანალიზი და სექტორული საგზაო რუკის" ანგარიშის შესახებ დანართის შესაბამისად (ტექსტობრივი მომზადება, ვიზუალური დიზაინი და ბეჭდვა ქართულ და ინგლისურ ენებზე).

**სამუშაოების რაოდენობა და დასახელება:** მეთოდოლოგიური მთლიანობისა და ვიზუალური/შინაარსობრივი თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, ტენდერი არ არის დაყოფილი ქვე-ნაწილებად. წინადადებები წარდგენილი უნდა იყოს სრულ მომსახურებაზე.

კონტრაქტორი პასუხისმგებელია დანართი 1_ანგარიში_Geo-ში მოცემული ანგარიშის სტრუქტურის II ნაწილის (Part II) მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 სექციების მომზადებაზე აჭარის რეგიონისთვის. გარდა ამისა, მის მოვალეობაში შედის ანგარიშის მომზადება, ვიზუალური დიზაინი, თარგმნა, ციფრული გამოცემა და ბეჭდვა.

**წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა:** სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადაა: **07.05.2026, 17:30 სთ.**

**მისამართი და წინადადებების წარდგენის წესი:** პრეტენდენტებმა წინადადებები უნდა წარადგინონ თანდართული ფორმის გამოყენებით (დანართი 3: ST4 ფორმა). წინადადება წარდგენილი უნდა იყოს ქვემოთ მითითებულ მისამართზე — აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, დალუქული კონვერტით, რომელიც ხელმოწერილი იქნება პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ.

კონვერტზე (გარე ზედაპირზე) მითითებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- პრეტენდენტის სახელი/დასახელება და მისამართი;
- ტენდერის დასახელება: **რეგიონული ლოგისტიკური საჭიროებების ანალიზი** ;
- რეფერენს-ნომერი: **BSB-LOGINET/ACCI/2026-02**;
- წარწერა: არ გაიხსნას სატენდერო წინადადებების გახსნის სესიამდე.

სატენდერო წინადადებები შეიძლება გაიგზავნოს ფოსტით ან კურიერის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: **აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა; 6000, ბათუმი, ახმედ მელაშვილის 26, სართული:2,** საკონტაქტო პირი: **ნინო დოლიძე** (ტელ: +995 577 902 270)

პრეტენდენტებს შეგახსენებთ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ წინადადება იგზავნება ფოსტით ან კურიერის მეშვეობით, იგი შემსყიდველ ორგანოს უნდა ჩაბარდეს ზემოთ მითითებულ ვადამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, განაცხადი ავტომატურად იქნება უარყოფილი.

**შეტყობინება შედეგების შესახებ:** სატენდერო წინადადების წარდგენა ნიშნავს პრეტენდენტის თანხმობას იმაზე, რომ შეფასების პროცედურის შედეგების შესახებ ინფორმაცია მას მიეწოდება წერილობითი ფორმით, ელექტრონული საშუალებებით.

## 2. გამორიცხვის და შერჩევის კრიტერიუმები

**გამორიცხვის კრიტერიუმები:** სატენდერო პროცედურაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომლებიც იმყოფებიან ევროკავშირის ფინანსური რეგულაციის (Financial Regulation) 136(1) და 141(1) მუხლებით გათვალისწინებულ რომელიმე სიტუაციაში.

**შერჩევის კრიტერიუმები: მინიმალური სავალდებულო შესაძლებლობები:**

- **გაფართოებული მეთოდოლოგიური ექსპერტიზა:** პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს დადასტურებული გამოცდილება თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგიებში, რომლებიც ზომავს კომპლექსურ B2B დინამიკასა და კორპორატიულ ბარიერებს (და არა მხოლოდ ჩვეულებრივი სტატისტიკური გამოკითხვის ჩატარების გამოცდილება). მან უნდა შეძლოს საველე პირობებში „განშტოებული" (forked) ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს ტექნიკის წარმატებით გამოყენება (კერძო და საჯარო სექტორში) და მიღებული ტექსტების თემატური კოდირება თვისობრივი მონაცემების ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფის (მაგ. **MAXQDA**) მეშვეობით. ეს კომპეტენცია იქნება სატენდერო წინადადების შეფასების მთავარი ხარისხობრივი კრიტერიუმი.
- **ინტეგრირებული კვლევითი შესაძლებლობები (სამაგიდო კვლევა და თვისობრივი სინთეზი):** პრეტენდენტმა კომპანიამ პროექტი უნდა მართოს ერთიანი კვლევითი ხედვით და არა მისი ცალკეულ ნაწილებად დაყოფით (მაგალითად, სტატისტიკური მონაცემების ცალკე შეგროვება და ინტერვიუების ცალკე ჩატარება). შეფასდება კომპანიის „სექტორულ-ეკონომიკური ანალიზის" უნარი, რათა ჩაატაროს სამაგიდო კვლევა როგორც რეგიონულ ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურაზე, ისე მაკროეკონომიკურ მონაცემებსა და „შუა დერეფნის" დინამიკაზე; ასევე „თვისობრივი დასკვნების გამოტანის (Grounded Theory და სხვა)" უნარი, რაც გულისხმობს ამ მეორეული მონაცემების სინთეზს საველე პირობებში ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებთან.
- **პერსონალი და რეზიუმეების (CV) წარდგენის მოთხოვნა:** პრეტენდენტებმა უნდა წარადგინონ კვლევაში მონაწილე მინიმუმ 3 ექსპერტის რეზიუმე. ექსპერტებმა CV-ში უნდა მიუთითონ ინფორმაცია მათ მიერ ჩატარებული წინა კვლევების შესახებ (საველე კვლევა და ანგარიშგება). სატენდერო წინადადების წარდგენისა და გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ, შემოთავაზებულ პერსონალში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია შემსყიდველი ორგანოს (აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის) წერილობითი თანხმობის გარეშე.

  - **საველე გუნდი და ქვეკონტრაქტორის დეკლარირება:** პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებაში ნათლად უნდა მიუთითოს, სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების მმართველი პირები იქნებიან კომპანიის შტატგარეშე თანამშრომლები, თუ პროექტისთვის დაქირავებული გარე (ქვეკონტრაქტორი) მკვლევარები. ქვეკონტრაქტორის, ან გარე ექსპერტის გამოყენების შემთხვევაში, მათი რეზიუმეები ასევე უნდა იქნას წარდგენილი. ტენდერში გამარჯვების შემდეგ, საველე გუნდში (იქნება ეს შიდა, თუ გარე პერსონალი) ცვლილებების შეტანა დაუშვებელია აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის წერილობითი თანხმობის გარეშე.
  - **საველე მკვლევარების მინიმალური კომპეტენცია:** დაუშვებელია, რომ კერძო სექტორთან (ლოგისტიკური ფირმები, საბაჟო ბროკერები, საპორტო ოპერატორები და ა.შ.) და საჯარო ინსტიტუტებთან პირისპირ ინტერვიუებს ატარებდნენ რიგითი ინტერვიუერები ან გამოუცდელი ასისტენტები. პირები, რომლებიც უშუალოდ განახორციელებენ საველე სამუშაოებს (მოდერატორი/ინტერვიუერი), უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- ❖ უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, ან მაგისტრატურის კურსდამთავრებული (ან მაგისტრატურის სტუდენტი);
- ❖ B2B (ინსტიტუციურ) საველე კვლევებსა და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების ტექნიკაში არსებული პრაქტიკული გამოცდილება;
- ❖ ლოგისტიკის, მიწოდების ჯაჭვისა და საგარეო ვაჭრობის ტერმინოლოგიის ბაზისური ცოდნა.

- **სექტორული ცოდნა:** პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს სიღრმისეული ცოდნა ადგილობრივი ლოგისტიკური დინამიკის, საბაჟო პროცედურების, „შუა დერეფნის" სავაჭრო ნაკადებისა და შავი ზღვის აუზში, განსაკუთრებით აჭარის რეგიონში, პორტის ჰინტერლანდთან დაკავშირებული ლოგისტიკური კავშირების შესახებ. ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური სექტორული პროექტები ჩაითვლება მნიშვნელოვან უპირატესობად.
- **დეკლარაცია კეთილსინდისიერების შესახებ:** პრეტენდენტებმა უნდა წარადგინონ დეკლარაცია გამორიცხვისა და შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით (დანართი 2: ფორმა G3).

**სატენდერო წინადადებასთან ერთად წარდგენილი უნდა იყოს შემდეგი დამადასტურებელი დოკუმენტაცია:**

1. **წინადადების წარდგენის ფორმა (დანართი 3: ST4 ფორმა):** სპეციფიკაციის დანართში მოცემული სტანდარტული განაცხადის ფორმა, რომელიც შეიცავს პრეტენდენტის დეკლარაციას ტენდერში მონაწილეობის შესახებ და კორპორატიულ საკონტაქტო ინფორმაციას;
2. **ტექნიკური წინადადება:** ST4 ფორმის ფარგლებში წარდგენილი დეტალური მეთოდოლოგია, სამუშაო გეგმა და ვადები, სადაც განმარტებული იქნება სპეციფიკაციით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების გზები (სამაგიდო კვლევა, თვისობრივი საველე ინტერვიუები, MAXQDA, ან მსგავსი პროგრამით კოდირება, აჭარის ანგარიშის მომზადება, დიზაინი და ბეჭდვა).

**ტექნიკური წინადადების (დანართი 3: ST4) მეთოდოლოგიის სექციაში დეტალურად და მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა აიხსნას შემდეგი პუნქტები:**

- გამოყენებული ეროვნული და საერთაშორისო მეორეულ მონაცემთა ნაკრებების წყაროები;
- რეგიონულ ლოგისტიკურ მონაცემებში პოტენციური დანაკარგებისა და შეუსაბამობების დიაგნოსტიკისა და ანგარიშგების სტრატეგია;
- ტექნიკური წინადადების ფარგლებში ნათლად უნდა იყოს მითითებული, თუ რომელი პირი/ინსტიტუტი განახორციელებს ანგარიშის ინგლისურენოვან თარგმანს აკადემიური ლიტერატურისა და „ევროკავშირის ლოგისტიკური ტერმინოლოგიის" შესაბამისად;
- ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუებისთვის შერჩევის მეთოდი (მაგ: „თოვლის გუნდის" მეთოდი - Snowball, მიზნობრივი შერჩევა და ა.შ.) და სამიზნე აუდიტორიის მატრიცა;
- ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების აუდიოჩაწერა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის პროცესები და ჩანაწერების სიტყვასიტყვითი (verbatim) გაშიფვრის ოპერაციული გეგმა ყოველგვარი ფილტრაციის გარეშე. აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატისთვის (ACCI) ჩანაწერების გადაცემის შემდეგ, ყველა მათგანი უნდა წაიშალოს და არ უნდა იქნას შენახული არანაირი ფორმითა და ფორმატით. მონაწილეებისთვის მკაფიოდ უნდა იყოს განმარტებული, რომ ჩანაწერები წაიშლება. ყველა ჩანაწერი და დოკუმენტი, მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის თანხმობის ფორმები, უნდა გადაეცეს ACCI-ს;
- თვისობრივი მონაცემების ანალიზის ძირითადი მიდგომა (დასაბუთებული თეორია - Grounded Theory, თემატური ანალიზი და ა.შ.);

- კოდირების სანდოობის (inter-encoder reliability) უზრუნველსაყოფად გასატარებელი ზომები (მაგალითად, ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა ადამიანის მიერ კოდირება და მსგავსების ხარისხის ანგარიშგება);

- სამუშაოების არა მხოლოდ დაწყება-დასრულების თარიღები, არამედ დეტალური **განტის დიაგრამა** (Gantt Chart), რომელიც (სასურველია) მოიცავს შეფასებისა და დადასტურების (Assessment/Confirmation) პროცესებს ACCI-თან ერთად;
- პასუხისმგებლობის მატრიცა, სადაც მითითებული იქნება, თუ რომელი სპეციალისტი (პროექტის მენეჯერი, საველე ინტერვიუერი, მონაცემთა ანალიტიკოსი) რამდენ კაც-დღეს (men/days) დახარჯავს თითოეულ სამუშაო პაკეტზე;

3. **ფინანსური წინადადება:** ფინანსური შეთავაზება, სადაც დანართი 3: ST4 ფორმაში მოთხოვნილი სამუშაო პაკეტების (მომსახურების) ფასები მითითებული იქნება **ევროში (EUR)**, დღგ-ს ჩათვლით. ჯამური ფინანსური შეთავაზება არ უნდა აღემატებოდეს **10 000.00 ევროს**;
4. **ძირითადი ექსპერტების რეზიუმეები:** დეტალური CV-ები, რომლებიც ასახავს იმ პერსონალის განათლებას, აკადემიურ პუბლიკაციებს/კვლევებსა და სამუშაო გამოცდილებას, რომლებიც უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას პროექტში და არიან ტექნიკური სპეციფიკაციით განსაზღვრული თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგიების ექსპერტები (ინტერვიუების მენეჯერი, მონაცემთა ანალიტიკოსი, ავტორი და ა.შ.);
5. **დეკლარაცია კეთილსინდისიერების შესახებ (დანართი 2: G3):** ხელმოწერილი განცხადება იმის შესახებ, რომ პრეტენდენტი არ იმყოფება გამორიცხვის შემთხვევებში (გაკოტრება, კორუფცია და ა.შ.) ევროკავშირის ფინანსური რეგულაციის შესაბამისად და აკმაყოფილებს შერჩევის აუცილებელ კრიტერიუმებს (ფინანსური და პროფესიული შესაძლებლობები);
6. **შერჩეულ (გამარჯვებულ) პრეტენდენტს** ხელშეკრულების გაფორმებამდე მოეთხოვება იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც იგი რეგისტრირებულია (როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე). წარმოსადგენი დოკუმენტების შაბლონები და ჩამონათვალი გაეგზავნება დამატებით;
7. **სანიმუშო კვლევა და რეფერენსები:** პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეფერენსების ჩამონათვალი, რომელიც ადასტურებს მის ხარისხსა და სექტორულ კომპეტენციას და მოიცავს მინიმუმ ერთ სანიმუშო ქეისს (case study). წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა ასახავდეს პრეტენდენტის მიერ შესრულებულ შესაბამის სამუშაო გამოცდილებას, მათ შორის — თვისობრივი კვლევების, სექტორული საჭიროებების ანალიზის ან საერთაშორისო პროექტების ანგარიშების მომზადების მიმართულებით. ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად. შესაძლებლობის შემთხვევაში, უნდა დაერთოს სარეკომენდაციო წერილები;

**3. ფინანსური ინფორმაცია** კონტრაქტის მაქსიმალური ღირებულება შეადგენს **10,000.00 ევროს**. ანგარიშსწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი), ხელშეკრულების გაფორმების დღის შესაბამისი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით;

**4. ანგარიშის ჩაბარების ვადები** ანგარიშის ACCI-სთვის წარდგენის ბოლო ვადაა **15.06.2026**.

## 5. ტექნიკური ინფორმაცია

შემსყიდველი ორგანო მოელის, რომ კონტრაქტორი განახორციელებს შემდეგ აქტივობებს აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან (ACCI) კოორდინაციით:

**იხილეთ ტექნიკური დავალება ST1-ის დანართი 1(ა)_ აქტივობები_Geo**

ყოველი დასრულებული აქტივობის შემდეგ, ანგარიში და პუბლიკაციის მიმდინარე შინაარსი უნდა წარედგინოს ACCI -ს. ანგარიშების მიწოდება შესაძლებელია როგორც ფიზიკურად, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. კონტრაქტორი ვალდებულია განახორციელოს ყველა ის ცვლილება თუ კორექტირება, რომელიც მოთხოვნილი იქნება ACCI-ს მიერ.

ACCI -ს ხელმძღვანელ პირებს, პერსონალს და პროექტის გუნდს უფლება აქვთ დაესწრონ ფოკუს-ჯგუფების შეხვედრებს.

ფოკუს-ჯგუფების შეხვედრები ჩატარდება ACCI -ს ადმინისტრაციულ შენობაში, ხოლო შეხვედრების ოთახს ACCI უზრუნველყოფს უფასოდ.

შეხვედრების თარიღების შესახებ ნებისმიერი განცხადების გაკეთებამდე, კონტრაქტორმა უნდა მიიღოს თანხმობა ACCI -სგან.

ACCI -ს უფლება აქვს, წინასწარ შეთანხმებული შეხვედრის თარიღი და დრო გადაიტანოს უფრო გვიანდელი პერიოდისთვის, ან პირიქით.

### 6. დამატებითი ინფორმაცია

- სატენდერო წინადადების წარდგენა ნიშნავს, რომ პრეტენდენტი ეთანხმება სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ ყველა პირობას და კონტრაქტორი კისრულობს ამ ხელშეკრულების შესრულებას;
- პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებაში უნდა გაითვალისწინოს თარგმანისა და კულტურულ-ტერმინოლოგიური ადაპტაციის ხარჯები;
- სატენდერო წინადადებების ძალაში ყოფნის ვადა, რომლის დროსაც პირობების შეცვლა დაუშვებელია, შეადგენს 30 დღეს;
- წინამდებარე მოწვევას თან ერთვის ხელშეკრულების პროექტი (დანართი 4_მომსახურების ხელშეკრულების პროექტი_Geo). გაითვალისწინეთ, რომ საბოლოო ხელშეკრულება შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ პროექტისგან;
- ანგარიშის შინაარსი და ინტერვიუს კითხვები მოცემულია დანართში (დანართი 1_ანგარიში_Geo).
- ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფების შეხვედრები უნდა იქნას გაფორმებული ოქმის სახით (წერილობითი სახით) და გაზიარებული ACCI -სთვის;
- ACCI -ს აქვს უფლება, შეიტანოს ნებისმიერი სახის ცვლილება და კორექტირება ანგარიშის შინაარსში.

### 7. კონფიდენციალურობის პოლიტიკა

შეფასების მთელი პროცედურა კონფიდენციალურია და ექვემდებარება შემსყიდველი ორგანოს კანონმდებლობას დოკუმენტებზე წვდომის შესახებ. შეფასების ანგარიშები და წერილობითი ჩანაწერები განკუთვნილია მხოლოდ ოფიციალური გამოყენებისთვის და არ ზიარდება პრეტენდენტებთან. გარდა საგრანტო პროგრამისა და ეროვნული ორგანოებისა, ინფორმაცია არ გაზიარდება სხვა მხარეებთან, გარდა ევროკომისიისა, ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (OLAF), ევროპის პროკურატურის (EPPO) და ევროპის აუდიტორთა სასამართლოსი.

ევროპული კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა, პროცედურის მიმდინარეობისას ნებისმიერი კონტაქტი შემსყიდველ ორგანოსა და პრეტენდენტს შორის აკრძალულია.

## 8. შეფასების კრიტერიუმები

- კონტრაქტი გაფორმდება იმ პრეტენდენტთან, რომელიც წარადგენს ადმინისტრაციულად და ტექნიკურად მისაღებ წინადადებას და უზრუნველყოფს საუკეთესო ბალანსს ფასსა და ხარისხს შორის.
- შეფასების ეტაპზე ტექნიკური წინადადება (განსაკუთრებით მეთოდოლოგიური ექსპერტიზა და შემოთავაზებული გუნდის ხარისხი) შეფასდება **80%-იანი**, ხოლო ფინანსური წინადადება — **20%-იანი** წონითი კოეფიციენტით.

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტა და ვალდებულებები

შემსყიდველი ორგანო (ACCI) იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ყოველგვარი კომპენსაციის გადახდის გარეშე, თუ დადგინდება შემდეგი გარემოებები:

1. **წინადადებასთან შეუსაბამობა:** ხელშეკრულების შესრულებისას კონტრაქტორის მიერ წარდგენილი ტექნიკური და ფინანსური წინადადების, სამუშაო გეგმის ან პერსონალის მიმართ აღებული ვალდებულებების საწინააღმდეგო ქმედება;
2. **დარღვევა და არაეთიკური ქცევა:** განაცხადის წარდგენის პროცესში ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში ნებისმიერი დარღვევის, მონაცემების გაყალბების, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების ან არაეთიკური სიტუაციის გამოვლენა;
3. **არაადეკვატური შესრულება:** ნაკისრი სამუშაოს ჯეროვანი გულმოდგინებითა და ხარისხით შეუსრულებლობა ტექნიკური სპეციფიკაციით განსაზღვრული სტანდარტების და პროექტის კალენდრის შესაბამისად;
4. **ცვლილება თანხმობის გარეშე:** ექსპერტთა გუნდში ან მეთოდოლოგიაში ცვლილებების შეტანა ACCI -ს წერილობითი თანხმობის გარეშე.

ასეთ შემთხვევებში, ACCI -ს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება, მოითხოვოს იმ დრომდე განხორციელებული გადახდების უკან დაბრუნება და დაიწყოს სამართლებრივი პროცედურები კონტრაქტორის ტენდერიდან დისკვალიფიკაციის მიზნით.

## 10. პუბლიკაციის მიღებისა და კონტროლის კრიტერიუმები

**შეზღუდული თვისობრივი ანალიზი, ფოკუს-ჯგუფების ინტერვიუები და კოდების წიგნის (Codebook) ჩაბარება:**

თვისობრივი მონაცემების (ინტერვიუების ტრანსკრიპტების) ანალიზისას, კონტრაქტორს არ გააჩნია უფლებამოსილება დამოუკიდებლად, ნულიდან განსაზღვროს კვლევის თემები. საჭიროების შემთხვევაში, ინტერვიუები შეიძლება ჩატარდეს ACCI - თან კოორდინაციით, მათთვის წარდგენილი ძირითადი თემებისა და საკვანძო სიტყვების გამოყენებით.

**კონტრაქტორის ძირითადი პასუხისმგებლობა:**

- ადმინისტრაციის მიერ მიწოდებული თეორიული ჩარჩოს ინტეგრირება MAXQDA-ში, ან მსგავს პროგრამულ უზრუნველყოფაში;
- გაშიფრული ტექსტების კოდირება ამ კოდების წიგნის (code booklet) მკაცრი დაცვით (**დედუქციური მიდგომით**);
- კოდირების პროცესში საველე სამუშაოებიდან გამოკვეთილი ახალი/ქვედა მიგნებების (**ინდუქციური ქვეკოდების**) დამატება მატრიცაში მხოლოდ შემსყიდველის წერილობითი თანხმობით;

- კოდირების პროცესის დასრულებისას, ანალიტიკური ანგარიშის დაწერამდე, პროექტის პირველადი ფაილისა და ტრანსკრიპტების (.mx24 ფორმატში) წარდგენა შემსყიდველისათვის;
- **ვიზუალური და ბეჭდვის ხარისხი:** ანგარიშის გარეკანისა და გვერდების დიზაინი უნდა დაამტკიცოს ACCI -მ, ხოლო ბეჭდური ვერსიების მიწოდება (ტრანსპორტირების ჩათვლით) უნდა დასრულდეს მითითებული რაოდენობით ( ფერადი ბეჭდვა, მათგან 10 ქართულად და 10 ინგლისურად).

**კონტროლის მექანიზმი:**

- **რეგულარული პროგრეს-შეხვედრები:** სამუშაო გეგმის ყოველ კრიტიკულ ეტაპზე (მაგალითად: ინტერვიუების დასრულებისას, პირველი სამუშაო ვერსიის მომზადებისას), კონტრაქტორი წარდგება პრეზენტაციით ACCI -ს წინაშე;
- **შესწორების უფლება:** იმ შემთხვევაში, თუ ანგარიში არ აკმაყოფილებს სტანდარტებს, ACCI -ს აქვს უფლება მოითხოვოს შესწორება/რევიზია გონივრულ ვადებში. ანაზღაურება არ გაიცემა სასურველი ხარისხის მიღწევამდე.

## 11. გადახდის პირობები

- **ავანსი:** წინასწარი გადახდა (ავანსი) არ გაიცემა;
- **შუალედური გადახდა:** შუალედური გადახდები არ განხორციელდება;
- **საბოლოო ანგარიშსწორება:** გადახდა განხორციელდება მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება საბოლოო ანგარიში, შეირჩევა დიზაინი და ჩაბარდება ბეჭდური (10 ქართულად, 10 ინგლისურად) და ციფრული ვერსიები.

## ტექნიკური დავალება ST1-ის დანართები:

- **ტექნიკური დავალება ST1-ის დანართი 1(ა)_ აქტივობები_Geo**
- **დანართი 1_ანგარიში_Geo_Eng**
- **დანართი 2-G3_კეთილსინდისიერების დეკლარაცია_ Geo_Eng**
- **დანართი 3_ST4_ დანართი_სატენდერო წინადადების წარდგენის ფორმა_Geo**
- **დანართი 4_მომსახურების ხელშეკრულების პროექტი_Geo**
- **დანართი 5_ რესპონდენტთა შერჩევა ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფებისთვის_Geo**